საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №6(188) 2019 წ. 16-31 მარტი ფასი 1 ლარი

მუნიციპალური გვერდი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის თათბირები

19 მარტი, 2019წ.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სამშაბათის თათბირს ამავე ***მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე*** **ლეძსო გილაშვილი** უძღვებოდა. თათბირს ესწრებოდნენ ***მერის მოადგილე*** **შოთა კაკაბაძე,** მერიის სამსახურებისა და განყოფილებათა უფროსები, მერის წარმომადგენლები მუნიციპალიტეტის თემებსა და ტერიტორიულ ერთეულებში.

თათბირზე მერის მოადგილეებმა დაწვრილებით გამოიკითხეს თითოეულ სოფელში არსებული მდგომარეობა, პრობლემური საკითხები ჩაინიშნეს და ამ პრობლემების მოსაგვარებლად შესაბამისი დავალებები მისცეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და არქიტექტურის სამსახურის ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის განყოფილების გამგეს ბექა ფეიქრიშვილს, შპს „საგარეჯოს“ დირექტორს თამაზ კუჭუაშვილს, აიპ „საგარეჯოს სასმელი წყლის რეგულირებისა და ხარისხის კვლევითი ცენტრის“ დირექტორს ოთარ ბუზარიაშვილს.

26 მარტი, 2019წ.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის 26 მარტის თათბირზე მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელმა თემებსა და ტერიტორიულ ერთეულებში გააკეთეს ინფორმაციები პრიორიტეტების და იმ წინადადებებისა და მოსაზრებების შესახებ, რასაც სოფლის მოსახლეობა არსებული პრობლემების მოსაგვარებლად გამოთქვამს. როგორც გაირკვა, უნალექო ზამთრის გამო ბუნებაში იკლო სასმელი წყლის დებეტმა. მიუხედავად იმისა, რომ მთელ რიგ სოფლებში სასმელი წყალი გრაფიკით მიეწოდება მოსახლეობას, მათ შორის მაინც უკმაყოფილებაა. ამიტომ საჭირო ხდება სასმელი წყლის მომჭირნეობით და ეკონომიურად ხარჯვა. საამისოდ კი აუცილებელია ჩვენი მუნიციპალიტეტის სოფლებში დამატებულ იქნეს სასმელი წყლის მარეგულირებლის რამდენიმე შტატი. ისინი კონტროლს გაუწევენ სოფლებში სასმელი წყლის წყალშემკრებ აუზებს და ავზებს, ამასთან, დროულად იქნება სასმელი წყალი მიწოდებული მოსახლეობისათვის – გრაფიკის დაცვით.

როგორც თულარის თემში მერის წარმომადგენელმა იქრამ ბაირამოვმა აღნიშნა, სოფელ კაზლარის მოსახლეობას არა აქვს სასმელი წყალი, იქ არსებული წყალი ტექნიკურია – არ გამოდგება სასმელად, რადგან მასში დიდი რაოდენობითაა მარილები. ამიტომ კარგი იქნება, თუ ე.წ. „სოკარის წყლიდან“ ამ სოფლის მოსახლეობასაც მიაწვდიან სასმელ წყალს. გაირკვა, რომ სასმელი წყლის მარეგულირებელი არც აზერბაიჯანული მოსახლეობით დასახლებულ სოფლებს ჰყავთ, რის გამოც კონტროლიდან გამოდის მოსახლეობისთვის სასმელი წყლის მიწოდების გრაფიკი.

ადგილზე შექმნილ მდგომარეობაზე და მათი მოგვარების გზებზე ისაუბრეს უჯარმის თემში მერის წარმომადგენელმა დავით აბელაშვილმა, მანავში – ალექსანდრე სტეფანიშვილმა, პატარძეულში – ოთარ ოთარაშვილმა, წყაროსთავში – გიორგი კერატიშვილმა.

თათბირზე წარმოდგენილი საკითხების ირგვლივ ისაუბრეს მერის მოადგილეებმა ლექსო გილაშვილმა და შოთა კაკაბაძემ, აგრეთვე დაისახა ღონისძიებები მერის წარმომადგენელთა მიერ დასმული საკითხების მოსაგვარებლად.

თინა ილაური

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 29 მარტის მორიგ სხდომას ***ამავე საკრებულოს თავმჯდომარე*** **ოთარ ჩალათაშვილი** უძღვებოდა. დღის წესრიგის პირველ საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №62 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ მოხსენება გააკეთა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარების განყოფილების უფროსმა მარინა თედიაშვილმა. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა: დადგენილების პროექტის მომზადება გამოწვეულია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №2577 განკარგულებით გამოყოფილი თანხების დამატებით და საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე ბიუჯეტის პროგრამებს შორის ცვლილებით.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12 მარტის №472 განკარგულებით შევიდა ცვლილება საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №2577 განკარგულებაში და 2019 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დამატებით მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილია 608,959 ათასი ლარი.

შესაბამისად საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელებში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12 მარტის №472 განკარგულებით 2019 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხიდან:

ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის და რეაბილიტაციის ხარჯებში დაემატა 608959 ლარი; კერძოდ, დაფინანსდა:

დასასრული მე-6 გვერდზე

მიმდინარეობს საგაზაფხულო ხვნა-თესვა

გაზაფხულდა და ინტენსიურად დაიწყო საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კულტურების ხვნა-თესვის კამპანია. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მონაცემებით, 25 მარტის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში საგაზაფხულოდ მოხნულია 7 000 და უკვე დათესილი იყო 300 ჰექტარი ფართობი. აქედან, საგაზაფხულო ქერი – 200 და მრავალწლიანი ბალახები (იონჯა) – 100 ჰექტარზე.

გაზაფხულმა საქმე და საზრუნავი მოუმატა მევენახეებსაც. ხელსაყრელი კლიმატური პირობების გამოყენებით მიმდინარეობს დარჩენილი სამუშაოების – ვენახების სხვლა და რიგთაშორისების დამუშავება. ზოგიერთმა მევენახემ და ფერმერმა უკვე დაიწყო ვაზის დაკავება, რაც ამჟამად ათეულობით ჰექტარზეა შესრულებული.

გივი დაბახიშვილი

მუნიციპალური გვერდი

ერთი დღე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში

26 მარტი, 2019 წელი

1. ფრაქციის სხდომა
2. კომისიის სხდომა

1. ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“

26 მარტს გაიმართა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მორიგი სხდომა, რომელსაც ამავე ***ფრაქციის თავმჯდომარე* ელდარ მეფარიძე** უძღვებოდა. სხდომას ესწრებოდნენ ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე* ლელა მარიდაშვილი,** ამავე მუნიციპალიტეტის ***მერის მოადგილეები* ლექსო გილაშვილი და შოთა კაკაბაძე,** ***საქართველოს პარლამენტის წევრი, მაჟორიტარი დეპუტატი საგარეჯოს მუნიციპალიტეტიდან* რომან მუჩიაშვილი.**

სხდომის დღის წესრიგის პირველ საკითხზე, 2018-2019 წლებში საგარეჯოს მუნიციპალიტეტში განხოციელებული და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ“ ინფორმაცია გააკეთეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეებმა **ლექსო გილაშვილმა** და **შოთა კაკაბაძემ,** ამავე მერიის ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და არქიტექტურის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსმა ბექა ფეიქრიშვილმა. მათ ვრცლად წარმოადგინეს ის ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელთა განხორციელებაც მიმდინარეობს ამჟამად, რომლებიც უკვე დამთავრდა და რომლის განხორციელებაც უახლოეს მომავალში დაიწყება.

ინფორმაციის წარმოდგენის პროცესში ფრაქციის წევრებისგან იყო მწვავე შეკითხვებიც, რომლებიც ეხებოდა ინფრასტრუქტურული პროექტის შესრულებისას თანამდევ პრობლემურ საკითხებს. კონკრეტულად, კითხვები ეხებოდა: ქალაქ საგარეჯოსა და სოფელ კაკაბეთში სასმელი წყლის სისტემის კეთილმოწყობის სამუშაოების, ქუჩებში ასფალტის დაგების ხარისხსა და ვადაგადაცილებული ხელშეკრულებების მდგომარეობას, რა კრიტერიუმებით შეირჩევა ქალაქსა და სოფლებში ქუჩები მოასფალტებისათვის, როცა არსებობს ისეთი ქუჩები, რომლებიც ტურისტული მარშრუტებისთვისაა ჩანიშნული, რატომ არ მთავრდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ 3 თვეში ესა თუ ის ინფრასტრუქტურული სამუშაოები და რატომ არ ვრცელდება მათზე ჯარიმაზე გადასაყვანი წესები, მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან მერიის ხელმძღვანელობის შეხვედრების დროს ხდება მოსახლეობის მხრიდან გამოთქმული მოსაზრებების, პრობლემების, წინადადებების ჩანიშვნა და მათგან თუ ეძლევა შემდეგში მსვლელობა მერიის მუშაობაში გასათვალისწინებლად.

დასმულ შეკითხვებს მომხსენებლებმა უპასუხეს კონკრეტული პასუხებით. საუბარში ერთვებოდა საქართველოს პარლამენტის წევრი რომან მუჩიაშვილი. როგორც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ლექსო გილაშვილმა აღნიშნა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში და საერთოდ, კახეთის მხარეში პრიორიტეტად დასახულია მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების საკითხი. ამასთან, აუცილებელი ხდება სოფლებში და ქალაქის ზოგიერთ ქუჩებში წყალსაწრეტი, სანიაღვრე არხების გაკეთება. ამჟამად ყურადღება გადატანილია ქ. საგარეჯოში სასმელი წყლის სისტემისთვის საბოლოო სახის მიცემასა და სოფელ კაკაბეთში ამ მიმართულებით II ეტაპის დაწყებაზე. როგორც ცნობილია, საგარეჯოში ნოემბრიდან დაიწყება გამრიცხველიანება, ხოლო კაკაბეთში სასმელი წყალი მოსახლეობას უკვე II ეტაპის დამთავრების შემდეგ – ივლისიდან უნდა მიეწოდოს.

როგორც ფრაქციის წევრმა, მაჟორიტარმა დეპუტატმა კაკაბეთიდან დიმიტრი მჭედლიშვილმა აღნიშნა: – სოფელში აღნიშნული სამუშაოების დამთავრების შემდეგ, როცა მოხდება სოფლის მოსახლეობის ინდივიდუალური გამრიცხველიანება, მოსახლეობა გადაიხდის იმ მომსახურების საფასურს, რაც მათ სასმელი წყლით უზრუნველსაყოფად გაეწევათ. სოფლის მოსახლეობა ამის შესახებ ინფორმირებულია და ამისათვის ისინი მზადყოფნას გამოხატავენ, მთავარია, მათ სასმელი წყალი თუნდაც გრაფიკით მიეწოდებოდეთ.

სხდომაზე ფრაქციის წევრებისგან წამოიჭრა სხვა მწვავე საკითხებიც. კონკრეტულად, ქალაქში საკანალიზაციო ქსელის არარსებობის გამო პრობლემები ექმნება მოსახლეობას, ამასთან, ხშირად ამ მიზეზით ქუჩაზე ვერ კეთდება ასფალტის საფარი, სანამ კომუნიკაციები არ მოწესრიგდება.

განხილულ საკითხზე აზრი გამოთქვეს ფრაქციის თავმჯდომარემ, წევრებმა: თამაზ ურდულაშვილმა, ივანე ივანიშვილმა, ივანე ბეჟიაშვილმა, დიმიტრი მჭედლიშვილმა. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ქალაქსა და სოფლებში არსებულ მდინარეთა კალაპოტებისა და ხევების გაზაფხულის ნალექების შემთხვევაში გამტარუნარიანობასა და იქ არსებულ მდგომარეობაზე.

საკითხის განხილვის შეჯამებისას, როგორც ფრაქციის თავმჯდომარემ ელდარ მეფარიძემ აღნიშნა, მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურებიდან ადგილზე ინფრასტრუქტურული სამუშაოების მიმდინარეობის ხარისხსა და ვადების გადაცილებაზე ინფორმაციას უნდა ფლობდეს მაჟორიტარი დეპუტატი, რომელიც ანგარიშვალდებულია თავისი ამომრჩევლის მიმართ.

დღის წესრიგის II საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სამსახურის და საგარეჯოს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის საქმიანობის შესახებ“ ინფორმაცია გააკეთა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ***მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური სამსახურის უფროსმა* სოფო შაქარაშვილმა**. მან ვრცლად მიმოიხილა სამსახურის მიერ გაწეული მუშაობა, ფრაქციის წევრებს გააცნო 2019 წლის სოციალური პროგრამა, რომელშიც ბევრი სასიკეთო ცვლილება შევიდა სოციალურად დაუცველთა და სოციალურად დაუცველთა ზღვარს მიღმა მყოფი ადამიანებისათვის. მერის მოადგილემ ლექსო გილაშვილმა იქვე გააკეთა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ახლა მთელი ყურადღებით მიმდინარეობს იმ 150 ოჯახის მდგომარეობის შესწავლა, რომელთაც სოციალური შემწეობა მოეხსნათ სხვადასხვა მიზეზთა გამო. აღნიშნა ისიც, რომ მერიის თათბირზე მოწვეული ჰყავდათ სოციალური მომსახურების სააგენტოს საგარეჯოს რაიონული განყოფილების უფროსი, რომელმაც მერის წარმომადგენელთა მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხა და ასეთი ოჯახების მდგომარეობის შესასწავლად ერთობლივი მუშაობის სურვილი გამოთქვა.

საკითხის განხილვისას ფრაქციის წევრებისგან კიდევ ერთხელ გამოითქვა მზადყოფნა – მუნიციპალიტეტის მერიამ და საკრებულომ ერთობლივი, შეთანხმებული მუშაობით უნდა მოახდინოს იმ გამოწვევების მოსახლეობის სასარგებლოდ გადაწყვეტა, რაც დღეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის წინაშე დგას.

2. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე ამავე ***კომისიის თავმჯდომარემ* ელენე სამხთუაშვილმა** დეპუტატებს – კომისიის წევრებს, დღის წესრიგის გაცნობის შემდეგ ამავე დღის წესრიგის საკითხებზე: შპს „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სანფორმაციო გაზეთ გარეჯის მაცნეს“ 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის და 2019 წლის დამტკიცემული ბიუჯეტის განხილვა“, აიპ „საგარეჯოს №105 კომპლექსური სასპორტო სკოლის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის და 2019 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის განხილვა“, აიპ „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის და 2019 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის განხილვა“ მოხსენებები გააკეთა. მან დაწვრილებით მიმოიხილა გასული წლის ბიუჯეტის შესრულება აღნიშნული შპსსა და აიპ-ების მიერ, კომისიის წევრებთან ერთად დასვა შეკითხვები, რომლებსაც შპს „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სანფორმაცი გაზეთ გარეჯის მაცნეს“ დირექტორმა თინათინ ილაურმა, აიპ „საგარეჯოს №105 კომპლექსური სასპორტო სკოლის“ ბუღალტერმა თემურ ილაურმა და აიპ „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორმა ელზა გილაშვილმა უპასუხა. ქ-ნმა ელზამ კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს საკმაოდ ვრცლად და ამომწურავად უპასუხა. საკითხი შეეხო საბავშვო ბაღებში უკვე ჩატარებულ სარეაბილიტაციო სამუშაოებს, მიმდინარე და უახლოეს მომავალში საჭირობისამებრ ჩასატარებელ სამუშაოებს.

აქვე საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ელდარ მეფარიძე ამავე ფრაქციის წევრთა სახელით წინადადებით შევიდა – კენჭისყრაზე დაეყენებინათ წინადადება – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიას ეთხოვოს ბიუჯეტიდან თანხების მოძიება – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა თანამშრომლებისათვის ხელფასის მომატების თაობაზე. როგორც მან აღნიშნა, ეს საკითხი უკვე ორჯერ იქნა დაყენებული, მაგრამ ახლა აუცილებელი ხდება საკითხს სერიოზულად მიუდგეს ყველა, რადგან ჩვენი ქვეყნის საჯარო სკოლის მასწავლებლებს ხელფასი ეზრდებათ, სათქმელია, რომ არც ბაღის აღმზრდელ-პედაგოგები არიან ნაკლები პასუხისმგებლობის ქვეშ – ისინი 2 წლის ასაკიდან იღებენ აღსაზრდელებს და ამზადებენ სასკოლოდ.

კენჭისყრის შემდეგ ხმათა უმრავლესობით გადაწყდა – ეთხოვოს მუნიციპალიტეტის მერს ბიუჯეტში მოძიებულ იქნეს შესაბამისი თანხები საბავშვო ბაღის თანამშრომელთათვის ხელფასის მომატების შესახებ.

კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა დღის წესრიგის მომდევნო საკითხიც „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №62 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“, რომლის შესახებ მოხსენება გააკეთა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარების განყოფილების უფროსმა მარინა თედიაშვილმა.

კომისიის წევრებმა შეაჯამეს წარმოდგენილი საკითხები და მისცეს შეფასებები.

თინათინ ილაური

ჩვენს მუნიციპალიტეტში

თემი

ლამბალო

სოფლები – ზემო ლამბალო და ქვემო ლამბალო

ზემო ლამბალო – კომლი – 804
მოსახლეობა – 4402

ქვემო ლამბალო – კომლი – 808
მოსახლეობა – 4532
საძოვრების ფართობი – 594ჰა
სახნავ-სათესი – 1129 ჰა
ერთწლიანი კულტურები – 1009ჰა
მრავალწლიანი – 29 ჰა

თემში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელია <u>რიზვან მამედოვი</u>

დაიბადა 1979 წელს. განათლება – **საშუალო** (კაჭრეთის საშუალო სკოლა-ინტერნატი)

სამუშაო გამოცდილება: სოფელ ლამბალოს რწმუნებულის თანაშემწე (2013-2014წწ); საქართველოს 2014 წლის მოსახლეობის აღწერის ფარგლებში სექტორის ზედამხედველი (2014წ); გამგებლის წარმომადგენელი სოფელ ლამბალოში (2016-2017წწ); გამგებლის წარმომადგენელი სოფელ თულარში (2017წ); გამგებლის წარმომადგენელი სოფელ ლამბალოში 2018 წლიდან დღემდე.

<u>დეპუტატი</u>
<u>ელშად კურბანოვი</u>

დაიბადა 1977 წელს **განათლება** – საშუალო **სამუშაო გამოცდილება** – დეპუტატად არჩევამდე ეწეოდა შიდასამეურნეო საქმიანობას.

ინფრასტრუქტურა

ქვემო ლამბალოში მოიხრეშა სასოფლო გზები;

სარწყავი არხი, რომელიც 25 წლის განმავლობაში უმოქმედოდ იყო, ეტაპობრივად გაიწმინდა, გასუფთავდა 1.5 კმ-ზე და ახლა ქვემო და ზემო ლამბალოს მოსახლეობას მისი გამოყენების საშუალება ექნებათ .

სოფლებში ჯერ-ჯერობით არ არის საყოფაცხოვრებო ნარჩენებისათვის განკუთვნილი ურნები.

საუბნო გზების ნაწილი მოსახრეშია, ასევე მოსაწყობია სანიაღვრე არხები, ცხაურები;

თემში არ არის საქიმო ამბულატორია.

სოფელში არ არის მგზავრთა მოსაცდელები.

„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით აქ თემში შემავალი სოფლებისათვის გამოყოფილია 10000-10000 ლარი. აღნიშნული თანხებით ორივე სოფელში გაკეთდება მგზავრთა მოსაცდელები და გარე განათება.

საჯარო სკოლა

სკოლის მენეჯერი – **დავით როსტომაშვილი**

სკოლაში ფუნქციონირებს ქართული და აზერბაიჯანული სექტორი.

ქართულ სექტორზე 400 მოსწავლეს 25 პედაგოგი ემსახურება, ხოლო აზერბაიჯანულ სექტორზე 717 მოსწავლის განათლებას – 50 პედაგოგი.

სკოლაში 50 საფინანსო კლასი და 46 საკლასო ოთახია.

სწავლა ორ ცვლაშია – დაწყებითი განათლების ოთხ კლასს მეორე ცვლაში უწევს მეცადინეობა.

სკოლაში პირველი კლასის 6 საფინანსო კლასია. პირველ კლასში 160 მოსწავლე ირიცხება, ხოლო XII კლასში – 28 მოსწავლე.

1117 მოსწავლის სწავლა-განათლების საქმეს წარმატებით უძღვებიან პედაგოგები ქართული სექტორიდან: რუსუდან დუჩიძე, ცირა ქურხული – ქართული ენისა და ლიტერატურის, მადონა გულაღაშვილი – ისტორიის, სიდონია გრძელიშვილი – დაწყებითი საფეხურის კლასების პედაგოგები.

აზერბაიჯანული სექტორიდან: მუსა ბალიევი, კაზახ აბდულაევი – ფიზიკის პედაგოგები, ფახრათ ხუბანოვი, ხასია ბაირამოვა – აზერბაიჯანული ენა და ლიტერატურა, მამედ მამედოვი – მათემატიკა, ნიზამ შარიფოვი და ფატმა ახმედოვა – რუსული ენა და ლიტერატურა, ბახრამ რუსტამოვი – ბიოლოგია და სხვა.

სკოლის შენობა 2016 წელს აშენდა. შენობა კავკასიის ქვეყნების მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე კომფორტული და დიდკონტინგენტიანია. საერთოდ, სკოლა 1100 მოსწავლეზეა გათვლილი. მისი მშენებლობისათვის 4344 ათასი ლარი იყო გამოყოფილი.

სკოლას აქვს თანამედროვე სტანდარტებით გათვალისწინებული გათბობა, აქვს სასმელი წყლის საკუთარი ჭაბურღილი, ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი, სასადილო, დია სპორტული მოედანი 300მ2 ფართით. სკოლა ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის, არის პანდუსები, ლიფტი, ყველა სართულზეა სველი წერტილები.

საბავშვო ბაღი

ლამბალოში ორი ალტერნატიული საბავშვო ბაღი ფუნქციონირებს. №1 საბავშვო ბაღშიც (აღმზრდელი მაკა ეპიტაშვილი, თანაშემწე ულვია ომაროვა) და №2 საბავშვო ბაღშიც (აღმზრდელი ელვირა ალახვერანოვა, თანაშემწე – ფატმა მამედოვა) ეთნიკურად აზერბაიჯანელი ბავშვები საქართველოს სახელმწიფო ენას – ქართულს ეუფლებიან – გართობით, თამაშობით, ერთმანეთთან ურთიერთობით. დიახ, დღეს ბევრი ქართული სიტყვა, გამართული წინადადებები იციან ამ სურათებიდან მომზირალმა ბავშვებმა: სუნდუზ აბდულაევამ, ჰამლეთ თალიბოვმა, აიგულ ჯალილოვამ, ერდაფილ ნასიბოვმა, მურად ისაევმა და სხვებმა, რომელთაც მაკა მასწავლებელი (რომელმაც შესანიშნავად იცის აზერბაიჯანული ენა და იორმუღანლოს საჯარო სკოლაში პედაგოგობის 10 წლის სტაჟიც აქვს) ყოველ დღე ახალ-ახალ სიტყვებს ასწავლით და ქართულად აცნობს გარე სამყაროს. ასევე, მუჰამედ ბაირამოვმა, ელვარ კახრამანოვმა, ნურლან ბალიევმა, კულაბ მახაროვამ, ზარიფა ახმედოვამ ელვირა მასწავლებლისგან (რომელსაც პედაგოგობის 6 წლის სტაჟი აქვს) ბევრი რამ ისწავლეს.

თინა ილაური

ჩვენს მუნიციპალიტეტში
ტერიტორიული ერთეული
პატარა ჩაილური

კომლი – 299
მოსახლეობა – 1147 კაცი
საძოვარი – 330 ჰა
სახნავ-სათესი – 470 ჰა
ერთწლიანი კულტურები – 162 ჰა
მრავალწლიანი კულტურები – 254 ჰა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი სოფელ პატარა ჩაილურში **არჩილ ყავრიშვილი**

დაიბადა 1975 წელს

განათლება – თსუ მიკროეკონომიკის ფაკულტეტის მანქანათმშენებლობის სპეციალობა (1992-1997 წწ)

სამუშაო გამოცდილება: სხვადასხვა დროს მუშაობდა სხვადასხვა სამსახურში, 2010 წლიდან ეწეოდა შიდა სამეურნეო საქმიანობას.

1995-1997 წლებში იმყოფებოდა სამხედრო-სავალდებულო სამსახურში.

2004-2007 წლებში – თბილისის წმინდა მარიამის სახელობის №7 პურის ქარხანაში.

2008-2010 წლებში იყო სოფელ პატარა ჩაილურის რწმუნებულის თანაშემწე. 2019 წლის მარტიდან მერის წარმომადგენელია სოფელ პატარა ჩაილურში.

დეპუტატი
მამუკა ჯაჭვაძე

დაიბადა სოფ. დიდ ჩაილურში.

განათლება- საშუალო.

სამუშაო გამოცდილება: სხვადასხვა დროს მუშაობდა სოფ. ჩაილურის წარმომადგენლის თანაშემწედ, იყო წინა მოწვევევის საკრებულოს დეპუტატი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში, ეწეოდა შიდა სოფლის მეურნეობას.

ინფრასტრუქტურა

გასულ წელს სოფელში მოეწყო ელექტრო ხაზი სასმელი წყლის სატუმბამდე.

ჩაუტარდა აღდგენითი სამუშაოები ე.წ. „საყდრის უბნის" სასმელი წყლის მაგისტრალს.

მოეწყო სიჩქარის შემზღუდავი ბარიერი.

მოეწყო სათადარიგო საევაკუაციო გასასვლელი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში.

განათლება

პატარა ჩაილურის საჯარო სკოლაში (მენეჯერი **თემურ ყავრიშვილი**. 164 მოსწავლე 12 საფინანსო კლასშია. აქედან პირველ კლასშია 12 მოსწავლე, მეთორმეტე



კლასში – 13. მათ განათლებას 24 მასწავლებელი ემსახურება, საიდანაც 6 სერტიფიცირებული პედაგოგია. დაწყებითი განათლების საფეხურის პედაგოგები არიან: ნინო ბადდადაშვილი, ლელა როსტიაშვილი, მაია ჯავახიშვილი, ლეილა მალასიძე. სკოლაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი რუსუდან როსტომაშვილი, რომელსაც არაერთი თაობა ჰყავს აღზრდილი და მარინა კოჭლამაზაშვილი –ბიოლოგიის მასწავლებელი.

სკოლის მენეჯერს თემურ ყავრიშვილს პედაგოგობის 50 წელი და დირექტორობის 34 წლის სტაჟი აქვს. პროფესიით გეოგრაფიის მასწავლებელია. სხვადასხვა დროს იყო თოხლიაურის, დიდი ჩაილურის სკოლების დირექტორი.

პატარა ჩაილურის საჯარო სკოლის შენობა 1970 წელსაა აშენებული. მას შემდეგ აქ ჯერ-ჯერობით სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები არ ჩატარებულა, მხოლოდ ფანჯრები შეიცვალა მეტალოპლასტმასის მასალით. სკოლას აქვს სააქტო და სპორტული დარბაზები.

საბავშვო ბაღი

საბავშვო ბაღი (მენეჯერი **მარინა შანიძე)** ორსართულიან, კომფორტულ შენობაშია განთავსებული, რომლის ინფრასტრუქტურას აქაურები დიდი რუდუნებით უფრთხილდებიან – აქ ორ სასწავლო-სააღმზრდელო ჯგუფში 50 პატარაჩაილურელი აღმზრდელების ლალი ღრეულის, მაია სირბილაძის, აღმზრდელის თანაშემწეების დონარა მაისურაძის, მაია შანიძის, მედდის – ანიკო საგინაშვილის, მზარეულის – მზია ბერიშვილის, დამლაგებელ ეკა ამირეჯიბის მეთვალყურეობის ქვეშ ეცნობიან სააღმზრდელო პროგრამას. ბაღის მენეჯერის მარინა შანიძის თქმით: – გასულ წელს აქ მოწესრიგდა სასმელი წყლის სისტემა, რამაც ნორმალური მუშაობის საშუალება მისცა აქაურ პერსონალს, ამასთან, შენობას მოუშენდა სათადრიგო კიბე, მოწესრიგდა საპირფარეშოები.

სამედიცინო მომსახურება

პატარა ჩაილურის ჯანმრთელობას ოჯახის ექიმი **თამარ გოდერძიშვილი** ემსახურება. საექიმო ამბულატორია კეთილმოწყობილ შენობაშია განთავსებული.

დაკეტილი სპორტული დარბაზი

პატარა ჩაილურში 2017 წლამდე სპორტული დარბაზი ფუნქციონირებდა, სადაც აქაური ახალგაზრდები ჭიდაობა ძიუდოს ეუფლებოდნენ. დარბაზის იატაკის ამორტიზების გამო აღნიშნული დარბაზი დაკეტილია. როგორც გაირკვა, აღნიშნული იატაკის მოწესრიგებას სერიოზული სამუშაოები ესაჭიროება.

დარბაზი სოფლის საბავშვო ბაღის შენობასთან ერთად იაპონიის საელჩოს დაფინანსებითაა აშენებული.

21 მარტი ქართული ჟურნალისტიკის დღეა!

ქართული გაზეთი 200 წლისაა

***პირველი** ნაბეჭდი გაზეთის ისტორია 1609 წლიდან, სტრასბურგიდან იწყება, სადაც გერმანულ ენაზე გაზეთი „სტრასბურგერ რელასიონი“ გამოდიოდა. 1712 წელს ვახტანგ VI-მ დაარსა სტამბა და დაბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“.*

1787 წელს გაზეთის მსგავსი ფურცლები იბეჭდებოდა საქართველოში.

გაზეთი – პერიოდული ბეჭდური გამოცემა, რომელიც არანაკლებ თვეში ერთხელ მუდმივი სახელწოდებით გამოდის. სიტყვა გაზეთი იტალიურ ენაზე ფულის ყველაზე მცირე ნომინალს გაზზეტა-ს ნიშნავს.

საქართველოში პირველი ქართული გაზეთი 1819 წელს დაარსდა. მას ჯერ „საქართველოს გაზეთი“, ხოლო შემდეგ „ქართული გაზეთი“ ეწოდებოდა. „საქართველოს გაზეთი“ იმდროინდელ საქართველოში ერთადერთი პერიოდული გამოცემა იყო და სწორედ აქედან იწყება ქართულ ჟურნალ-გაზეთების გამოცემათა ისტორიაც.

გაზეთის გამოცემის იდეა 1818 წელს წამოიჭრა და მზადებაც დაიწყო შესაფერისი მუშაკების შერჩევისათვის. 1819 წლის განცხადების თანახმად, გაზეთი 1819 წლის 1 მარტს გამოვიდოდა. მაგრამ ის 8 მარტს ვერ გამოვიდა. მიზეზი კი ხელმომწერთა ნაკლებობა იყო. გამომცემლები ნაბეჭდ ფურცელ „გამოცხადებაში“ მიუთითებდნენ, რომ გაზეთის გამოცემის დასაწყებად 500 ხელმოწერა იყო საჭირო. და რადგან 1 მარტისათვის ამდენი ხელმოწერა ვერ შეგროვდა, გაზეთის გამოცემა დაგვიანდა. შემდეგ გაზეთი იუწყებოდა, რომ არქიეპისკოპოს ნერსეს შეუგროვებია ფული ასი ხელმომწერისგან და გაზეთიც იწყებს გამოსვლას.

გაზეთის 1819 წლის №33-ში მიბეჭდილი იყო ფრაზა, რითაც ვიგებთ, რომ ამ გაზეთს დამატებაც ჰქონია: „ამასთან არის სხვა მომატებული ფურცელი გაზეთისა“, სწორედ ეს არის შემთხვევა, რომ გაზეთი დამატებითი ფურცლით გამოდის.

ვინ იყო „საქართველოს გაზეთის“ რედაქტორი ცნობილი არ არის. მას გამომცემელთა მთელი ჯგუფი ხელმძღვანელობდა. ის კი შეიძლება ითქვას, რომ გაზეთს კავკასიის კორპუსის შტაბის მმართველობა ხელმძღვანელობს. „საქართველოს გაზეთის“ სტამბა კავკასიის საკუთრება იყო და იქვე, ამავე ჯარების შტაბის სახლში იყო გამართული. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ აქ, ამ სტამბაში სხვა პირს არ შეუშვებდნენ, თუ არა სამხედროს ან შტაბის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებულს.

გაზეთის რედაქციას ჯერ უნდა ეთარგმნა ყველა შემოსული კორესპონდენცია, აგრეთვე უცხო ენიდან შემოსული მასალა ჯერ რუსულ ენაზე და შემდეგ გამართულ ქართულ ენაზე უნდა თარგმნილიყო და დაბეჭდილიყო.

იმ პერიოდში უკვე მოქმედებდა 1804 წლის საცენზურო წესდება, რომელიც ცენზორისგან მოითხოვდა დაუზარებელ თვალყურს პერიოდიკაზე. ქართულ გაზეთზე ცენზურა რთული იყო – რუსებმა ქართული არ იცოდნენ. ცენზორის როლში ამ პერიოდში მთავარმართებელი ერმოლოვი და მისი მოხელეები გვევლინებიან.

ქართული გაზეთი ერთკვირეული ორგანო იყო და პარასკეობით გამოდიოდა. მისი წლიური ფასი სამი მანეთი და 20 კაპიკი იყო. ცხოვრება ჭირდა, მოსახლეობას უჭირდა მისი შეძენა. ამასთან, ზოგიერთმა წერა-კითხვაც არ იცოდა. ხელმომწერთა შეგროვება ძნელი იყო.

1819-1821 წლებში ქართული გაზეთი პოლიტიკურ-ლიტერატურული პერიოდული ორგანო იყო. მას მოსახლეობისათვის უნდა გაეცნო ხელისუფლების „განწესებანი და განკარგულებანი“, „მესაზღვრე ქვეყნების ამბები“, ახალი მიღწევები ცხოვრების სხვადასხვა დარგში, ცნობები ლიტერატურის სამყაროდან – ადგილობრივი მოსახლეობა ევროპის მცხოვრებთათვის უნდა დაეახლოვებინა. მეფის მოხელეებს გაზეთის საშუალებით საკუთარი ინტერესების დაცვა სურდათ. ქართველი საზოგადოება კი გაზეთს მიზნად მკითხველისათვის სამშობლოს საკეთილდღეო სხვადასხვა ცოდნის მიწოდებას უსახავდა.

გაზეთში მოთავსებული მასალა სამგვარი იყო: პირველი მასალა, რომელიც საქართველოს სინამდვილიდან იყო აღებული; მეორე მასალა, რომელიც რუსეთის სინამდვილეს ეხებოდა და მესამე მასალა, რომელიც უცხოეთის ცხოვრებას ასახავდა.

გაზეთი, როგორც ოფიციალური ორგანო, მხარს უჭერდა მეფის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, მსჯელობდა სოფლის მეურნეობაზე, იძლეოდა გარკვეულ მასალას იმდროინდელ კლასთა ურთიერთობასა და მათ შორის მიმდინარე ბრძოლის შესახებ. ქვეყნდებოდა მასალები 1820 წლის იმერეთ-გურიის აჯანყების შესახებ. გაზეთში არის მსჯელობა საერთაშორისო საკითხებზეც. მოიპოვება ცნობები ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, თურქეთის, საბერძნეთის შესახებ.

გაზეთი აფართოებდა საზოგადოების ცოდნას და ხელს უწყობდა ქართული ჟურნალისტიკის განვითარებას. აქ ქვეყნდებოდა პატარ-პატარა მოთხრობები.

პირველმა ქართულმა გაზეთმა 1821 წლამდე იარსება. მისი გამოცემა შეწყდა ხელმომწერთა სიმცირის გამო.

პირველი ქართული გაზეთის დაარსების, გამოსვლის დღე 1819 წლის 8 მარტია, – მისი პირველი ნომრის გამოსვლის თარიღი, ამიტომაც 21 მარტი (ძველი სტლით 8 მარტი) ქართული ჟურნალისტიკის დღედ აღინიშნება.

1847 წლის 3 მარტიდან გაზეთი „ივერია“ თბილისში გამოდიოდა ყოველკვირეული გაზეთის სახით. 1879-85 წლებში – ჟურნალის, 1886 წლიდან – ყოველკვირეულ გაზეთად. დამაარსებელი და რედაქტორი ილია ჭავჭავაძე იყო, სხვადასხვა დროს თანარედაქტორი – სერგეი მესხი, ივანე მაჩაბელი, ალექსანდრე სარაჯიშვილი, გრიგოლ ყიფშიძე, გაზეთის დახურვამდე – 1906 წ. – ფილიპე გოგიჩაიშვილი.

„ივერია“ იყო მთავრობის წინააღმდეგ მებრძოლი გაზეთი, ითვალისწინებდა ქართველთა ეროვნული თვითშეგნების გაძლიერებას და პოლიტიკური დამოუკიდებლობის იდეის სამსახურს. თანამშრომლობდნენ: აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა, ალექსანდრე ყაზბეგი, ნიკო ლომოური, ეკატერინე გაბაშვილი.

1989 წლის 20 თებერვალს გაზეთი „ივერია“ ზურაბ ჭავჭავაძემ აღადგინა. იგი 1997 წლამდე გამოდიოდა. გაზეთი 90-იანი წლების საქართველოს ცხოვრებას ასახავდა.

2010წლიდან გაზეთი „ივერია“ პირვანდელი სახით აღადგინა ნუგზარ ჭიაბერაშვილმა.

გაზეთი საგარეჯოს რაიონში

საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (მენეჯერი ბადრი დრეიძე) არსებული მასალებით ირკვევა, რომ საგარეჯოში 1932 წლიდან გამოდიოდა გაზეთი „სტალინური სიტყვა“, რომელიც საგარეჯოს კპ(ბ) რაიკომისა და რაისაბჭოს მშრომელთა დეპუტატების ორგანო იყო. აღნიშნული გაზეთის გამოსული 411 ნომრიდან არც ერთი აღარ არის შემორჩენილი, უბრალოდ, 1941 წლის 1 იანვრით დათარიღებულ ნუმერაციით დანომრილ გაზეთში კიდევ იკითხება, რომ გაზეთის დაარსებიდან აღნიშნული ნომერი 412-ეა. ამასთან, გაზეთს აწერია – გამოცემის მე-9 წელი. გაზეთი 4 გვერდიანია, ტირაჟი მითითებული არ არის, ფასი 8 კაპიკი, იბეჭდება საგარეჯოს სტამბაში. გაზეთს ხელს აწერს პასუხისმგებელი რედაქტორი ალ. ზაქარეიშვილი. წელიწადში გამოდის 54 ნომერი. ამავე მუზეუმში ინახება 1942, 1943, 1944 წლებში გამოცემული გაზეთის კომპლექტები. 1944 წლის 24 სექტემბრიდან გაზეთს ხელს აწერს პასუხისმგებელი რედაქტორის მოვალეობის შემსრულებელი გ. ზუკაიშვილი. 1945 წლის არც ერთი ნომერი არ არსებობს. 1946 წელს გამოცემულ გაზეთს ხელს კვლავ გ. ზუკაიშვილი აწერს, შემდეგ კი – 1947 წლიდან პასუხისმგებელი რედაქტორია ირაკლი ძაბილაშვილი.

1948 წლის არც ერთი ნომერი არ იძებნება.

1949 წლის 10 აგვისტოს გაზეთის მე-1000 ნომერი გამოდის, რომელსაც ხელს აწერს რედაქტორის მაგიერ თეიმურაზ ჯანგულაშვილი.

1950-1951 წლებში გაზეთის პასუხისმგებელი რედაქტორია კვლავ გ. ზუკაიშვილი და წელიწადში გამოსულია გაზეთის 108 ნომერი. 1952 წლიდან გაზეთს ხელს აწერს რედაქტორი გ. ზუკაიშვილი, ხოლო გაზეთის №22-დან – რედკოლეგია.

1952 წლის №37-დან გაზეთის რედაქტორია კოკი ბანძელაძე. გაზეთის ღირებულება 1 წლით 10 მან და 40 კაპიკია, ერთი ეგზემპლარის ფასი 10 კაპიკი, ტირაჟი – 1800.

1955 წელს გაზეთი კვლავ 4 გვერდიანია, ტირაჟი – 1800, ფასი – 15 კაპიკი, წელიწადში გამოვიდა 153 ნომერი.

1959 წლის გაზეთის ნომრებიდან მუზეუმში არ არის არც ერთი ნომერი.

1960 წელს გაზეთის ტირაჟი გაზრდილია და 2500 ეგზემპლარს მოიცავს.

1961 წელს ტირაჟი 2100-ია.

1962 წლიდან გაზეთს სახელწოდება „სტალინური სიტყვა“ ეცვლება და მას „განთიადი“ ეწოდება. ტირაჟი 2100-ია.

1963 წლიდან ტირაჟი 2700-ია და გამოდის სახელწოდებით „ლენინის გზით“, რომელიც გურჯაანისა და ყვარლის რაიონების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გაზეთია. 10 სექტემბრიდან გაზეთის რედაქტორს გ. გაბრუაშვილს ცვლის კოკი ბანძელაძე.

მხოლოდ 1966 წლიდან 3600-იანი ტირაჟით, წელიწადში 132 ნომერი გამოდის გაზეთი სახელწოდებით „ივრის განთიადი“, სადაც მითითებულია გამოცემის 32-ე წელი №1 (2690).

1968 წლის 25 იანვრის გაზეთი ფერადია – პარტიის საგარეჯოს რაიკომის 28-ე კონფერენციის მასალებით. 24 თებერვლიდან გაზეთის ტირაჟი 3600-დან 4900-მდე იზრდება, ფასი 2 კაპიკია.

1970 წელს ტირაჟი – 5100-ია, 14 თებერვლიდან – 52000-მდე იზრდება, 6 მაისიდან 5300-მდე, ხოლო 1971 წლიდან 5900-მდე, 1972 წლიდან – 5983, 6100, 6500-ია.

1973 წლის საახალწლო ნომერი ფერადია. ტირაჟი – 6100-ია.

1975 წლის 3 აპრილიდან გაზეთს ხელს კოკი ბანძელაძის მაგიერ გაზეთის ყოფილი პასუხისმგებელი მდივანი ალ. ნეკრესელაშვილი აწერს, როგორც რედაქტორი და გაზეთის ტირაჟი 6578-ია.

1980 წლის დეკემბრიდან 1985 წლის თებერვლამდე გაზეთის რედაქტორია ალ. ელერდაშვილი.

1985 წლის აპრილიდან 1988 წლის მაისამდე – ჯ. ქურხული.

1988-1992 წლამდე ალ. ნეკრესელაშვილი.

1992 წლიდან გაზეთი გადის დამოუკიდებლად და მისი რედაქტორია ნათელა ოზგელდოვა-ქვლივიძე.

1995 წლის მარტში საგარეჯოს რაიონის გამგეობა აარსებს თავის ორგანოს – ახალ გაზეთს „კახეთის კარიბჭეს“, რომლის რედაქტორიც ქეთევან კუჭუაშვილია. 1998 წლის აგვისტოდან 2011 წლამდე გაზეთის რედაქტორი ზურაბ აგულაშვილია.

2011 წლის ივნისიდან კი გამოდის გაზეთი „გარეჯის მაცნე“.

საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში „სტალინური სიტყვის“ რედაქტორის გიორგი ძაბილაშვილის ფოტოსურათსა და მისი ვაჟის ჯიმშერ ძაბილაშვილის ხელნაწერ ბიოგრაფიას მივაკვლიეთ, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ გიორგი ძაბილაშვილი 1932 წლიდან ხელმძღვანელობდა გაზეთ „სოციალისტური გზით“ გამოშვებას, ხოლო 1937 წელს იგი დახვრეტილ იქნა.

საგაზეთო მასალების მოძიებისას გაწეული დახმარებისათვის მადლობას ვუხდი საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მენეჯერს ბადრი დრეიძეს.

გვერდი მოამზადა თინა ილაურმა

მუნიციპალური გვერდი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

დასასრული

1) ქ.საგარეჯოში გ.ქურდიანის ქუჩაზე ღვთისმშობლის ეკლესიამდე მისასვლელი გზის მოასფალტების სამუშაოები - 237652 ლარი, თანადაფინანსება – 12508 ლარის გათვალისწინება მოხდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან;

2) ქ.საგარეჯოში შოთა რუსთაველის ქუჩაზე ე.წ. (წიფლის ხევის) მიმდებარედ გზის მოასფალტების სამუშაოები - 371307 ლარი, თანადაფინანსება – 19543 ლარის გათვალისწინება მოხდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან;

ზემოთ ჩამოთვლილი ობიექტების დაფინანსება მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე შედარებით ნაკლები თანხებით: ქ.საგარეჯოში გ.ქურდიანის ქუჩაზე ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიამდე მისასვლელი გზის მოასფალტების სამუშაოები 150000 ლარი და ქ.საგარეჯოში შოთა რუსთაველის ქუჩაზე ე.წ. (წიფლის ხევის) მიმდებარედ გზის მოასფალტების სამუშაოები 249209 ლარი. ბიუჯეტიდან გამოთავისუფლდა 399209 ლარი, რომელიც შემდეგნაირად გადანაწილდება:

1) ქ.საგარეჯოში გ.ქურდიანის ქუჩაზე ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიამდე მისასვლელი გზის მოასფალტების სამუშაოების თანადაფინანსება 12508 ლარი და ქ.საგარეჯოში შოთა რუსთაველის ქუჩაზე ე.წ. (წიფლის ხევის) მიმდებარედ გზის მოასფალტების სამუშაოების თანადაფინანსება 19543 ლარი, სულ 32051 ლარი.

2) საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 იანვრის №45 განკარგულების „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" განსახორციელებლად პროექტების ხარჯთაღრიცხვების შესაძენად საჭიროა თანადაფინანსება და ხარჯთაღრიცხვასა და განკარგულებით გამოყოფილ დაფინანსებას შორის სხვაობების დამატება.

3) შპს სუფთა მუნიციპალიტეტი 2018-ის სუბსიდიაზე საჭიროა 33000 ლარის დამატება საწვავის ფასთა სხვაობის გამო (ბიუჯეტში დიზელის საწვავის ფასი გათვალისწინებული იყო 1,97 ლარი, კონსოლიდირებული ტენდერი შედგა 2,27 ლარზე (წერილი№63-02 09.01.2019წ);

4) ა(ა)იპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრის სუბსიდიაზე საჭიროა 17700 ლარის დამატება სარემონტო სამუშაოების ჩასატარებელი სამუშაო ინვენტარის და იარაღების შესაძენად (წერილი№6 1.02.2019წ) და №7 4.02.2019წ).

5) შპს „გარეჯის მაცნეს" ხელფასის ფონდზე დაემატება 2600 ლარი; (ბიუჯეტის დამტკიცებისას პროექტში ვერ გაითვალისწინეს თანამდებობრივი სარგოს მატების წლიური თანხა).

6) ა.(ა)ი.პ „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას" დაემატება კომუნალური ხარჯი 600 ლარი.

7) გარე განათების მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის დასაფინანსებლად დამატებით გამოიყოფა 80 000 ლარი.

8) სახელფასო დანამატის და ფულადი ჯილდოს გასაცემად მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის თანამშრომლებზე შრომის ანაზღაურების ფონდს დაემატოს 72650 ლარი, საქონელი და მომსახურებას 10725 ლარი (საკრებულო 17875+2600 ლარი და მერია 54775+8125 ლარი).

9) „სსიპ – საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის მიერ გაწეული ზოგიერთი ანაზღაურებადი მომსახურების სახეების, საფასურისა და ტარიფების დამტკიცების შესახებ" 2018 წლის 28 დეკემბრის საქართველოს მთავრობის 657 დადგენილებით საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის (ე ოცუმენტ) მომსახურება გახდა ფასიანი. ერთი მომხმარებლის ერთი თვის მომსახურების საფასური დღგ-ის ჩათვლით შეადგენს საჯარო სექტორისთვის 8 (რვა) ლარს. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიაში სისტემის მომხმარებელთა რაოდენობა შეადგენს – 163, ხოლო საკრებულოში - 26. სულ – 189 მომხმარებელს, აქედან გამომდინარე ბიუჯეტში უნდა გავითვალისწინოთ მომსახურების საფასური 18 144 ლარი, საკრებულოს ხარჯებს უნდა დაემატოს 2496 ლარი, მერიის ხარჯებს 15648 ლარი.

10) სოფელ უჯარმის მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის მიზნით 20 ტონიანი რეზერვუარის შესყიდვა სავარაუდო ღირებულებით 12000 ლარი;

11) სოფელ უჯარმაში გარე განათების მოწყობა სავარაუდო ღირებულებით 10000 ლარი;

12) დ-110 მმ-იანი დიამეტრის სასმელი წყლის მაგისტრალის მოწყობა 1 კმ-ზე სავარაუდო ღირებულებით 30000 ლარი.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლების ქუჩების სახელდების მიზნით, საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის ანგარიშის მოსმენის შესახებ" მოხსენება გააკეთა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის კომისიის თავმჯდომარემ **გივი ბედიაშვილმა.** როგორც მან აღნიშნა:

– საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლების ქუჩების სახელდების მიზნით შექმნილმა საკრებულოს დროებითმა სამუშაო ჯგუფმა თავისი უფლებამოსილების ვადაში ჩაატარა შემდეგი სამუშაოები:

– პირველ ეტაპზე მოხდა სამუშაო რუქების მოძიება, სახელდება ჩასატარებელია მუნიციპალიტეტის 18 სოფელში. აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ სოფელში სახელდებისა და ნუმერაციის გარეშე დარჩენილია გარკვეული უბნები.

– ქუჩების სახელდებასთან დაკავშირებით გაიმართა კონსულტაციები სოფლებში მერის წარმომადგენლებთან და მოსახლეობასთან. კონსულტაციები გავიარეთ იუსტიციის სამინისტროს შესაბამის სამსახურებთან. გაირკვა, რომ იუსტიციის სამინისტრო მუნიციპალიტეტში ახორციელებს პროექტს სოფლებში სამისამართო საზღვრების დადგენის მიზნით. იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლებთან ერთობლივად გავიარეთ მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებული პუნქტი, დავადგინეთ მათი დამისამართების საზღვრები. ელეტრონული ფორმით მოხდა სახელდების გარეშე დარჩენილი სოფლების ქუჩების სახელდების მინიჭება.

შევთანხმდით, რომ ყველა ტექნიკურ საკითხს მოაგვარებს იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი სამსახური და საკრებულოზე განსახილველად, უახლესი ორი თვის განმავლობაში გადმოგვცემს დამისამართებულ და ნუმერაციამინიჭებულ სოფლების რუკებს, როგორც ელექტრონულ ასევე ბეჭდურ ვარიანტს, ამით სამუშაო ჯგუფმა აღნიშნულ საკითხზე მუშაობა დაასრულა.

საკითხის ირგვლივ ისაუბრეს დეპუტატებმა ივანე ივანიშვილმა, ხათუნა ბერიძემ.

სხდომის მონაწილეებმა წარმოდგენილ საკითხებზე მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილებები.

კახეთში

ინფრასტრუქტურული პროექტების ეფექტურად განხორციელებისათვის

19 მარტს, კახეთის რეგიონში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების ეფექტურად განხორციელების მიზნით, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში მორიგი სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე ასევე განიხილეს დაგეგმილი პროექტების გეგმა - გრაფიკის დაცვით შესასრულებელი სამუშაოები. ზემოაღნიშნულ საკითხებზე, რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის მიერ წარმოდგენილი იქნა პრეზენტაცია. შეხვედრას ესწრებოდნენ: სახელმწიფო რწმუნებული - ირაკლი ქადაგიშვილი, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე - ილია ბეგიაშვილი და კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების მერები.

სამუშაო შეხვედრა

ბუნების დასაცავად

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში ბუნების დაცვის საკითხების განსახილველი სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ: საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატი რომან მუჩიაშვილი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები ალექსი გილაშვილი და შოთა კაკაბაძე; მერის მრჩეველი ადმინისტრაციულ საკითხებში-ვალერი ივანიაშვილი; საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარე ოთარ ჩალათაშვილი, მერის წარმომადგენელი ქალაქ საგარეჯოში - იოსებ მარხვაშვილი, დაცული ტერიტორიების სააგენტოს მარიამჯვრის ნაკრძალის დირექტორი ზვიად ტიგინაშვილი, გარემოზე ზედამხედველობის სამსახურის კახეთის რეგიონის წარმომადგენელი ბესარიონ შუბითიძე, ეროვნული სატყეო სააგენტოს კახეთის რეგიონის წარმომადგენელი გელა კომლაძე და მისი მოადგილე იოსებ ტურაშვილი. განხილვას ესწრებოდა საგარეჯოს რამდენიმე მოქალაქეც.

აღნიშნულ შეხვედრაზე ძირითადად ხე-ტყის უკანონო და უნებართვო ჭრის შემაჩერებელი ფაქტორები განიხილეს. გაიცა რეკომენდაციები და ისაუბრეს დაცვის დამატებითი მექანიზმების ამოქმედებაზე.

საუბრისას გაიჟღერა მოსაზრებამ, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტყის მასივის გარკვეული ფართობი თავისი ბიომრავალფეროვნებიდან გამომდინარე, დაცული ტერიტორიების მარიამჯვრის ნაკრძალს შეუერთდეს.

შეგახსენებთ, რომ გაიზარდა უნებართვოდ მრავალწლოვანი ნარგავების ჭრის ფაქტები და შეხვედრისას ცალსახად გადაწყდა, რომ გაძლიერდეს გარემოს დაცვის ეკიპაჟის პატრულირება და ამოქმედდეს დაცვის დამატებითი მექანიზმები.

ქეთი გრატიაშვილი, ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის პრესსამსახური***

დავით გარეჯის მონასტრის გზის რეაბილიტაცია

მიმდინარე წელს საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდი უდაბნო- დავით გარეჯის მონასტრის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს დააფინანსებს. აღნიშნული გზის ერთი მონაკვეთი გასული საუკუნის 80-იანი წლების შემდეგ აღარ შეკეთებულა.

სპორტი

«არსენა» _ ოქროს ფინალში

აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ ბაზაზე შეიქმნა და სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობს ძიუდოს კლუბი „არსენა“, რომელშიც ამ გაერთიანების აღსაზრდელები არიან გაერთიანებული. ამასწინათ კლუბის ძიუდოისტებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ძიუდოს კლუბებს შორის გამართულ პირველობაში, რომელიც ქ. თელავში, 9 მარტს ჩატარდა 2003-2004 წლებში დაბადებულ მოჭიდავეებს შორის. ასპარეზობაში 56 კლუბის მოჭიდავეებში „არსენას“ სახელით მონაწილეობდნენ ჩვენი ძიუდოისტები: მირიან კურდღელაშვილი (55კგ), გიორგი დურიშვილი და ლაშა ლოლაძე (ორივე 66 კგ), მურად ხუდოიანი (60 კგ), თენგო ხებრელაშვილი და დავით შათირიშვილი (ორივე 73 კგ), მძიმე წონა: ლაშა მამულაშვილი და სანდრო სონიშვილი. მათი მცდელობით „არსენა“ იმ 8 კლუბს შორისაა, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ოქროს ფინალის გათამაშებაში. ეს ფინალი სავარაუდოდ ორ თვეში გაიმართება, სადაც გამოვლინდება გამარჯვებული და საპრიზო ადგილზე გასული კლუბები.

აქვე დაინტერესებულ მკითხველს შევახსენებთ, რომ ოქროს ფინალის მონაწილე გუნდებისათვის დაწესებულია საპრიზო ფონდი.: პირველ ადგილზე გასული კლუბებისათვის – 70 ათასი, II – 50 ათასი, III (ორი) – 30 ათასი ლარი. V-VI ადგილებისათვის – 20 000, VII-VIII ადგილებისათვის 10 000-10000 ლარი. როგორც ჩვენთან საუბარში „არსენას“ მწვრთნელმა მამუკა მათიაშვილმა აღნიშნა, კლუბის წევრებს უკვე განაღდებული აქვთ 20000 ლარი, მაგრამ იბრძოლებენ უკეთესი შედეგებისათვის.

ოქროს ფინალის მთავარი პრიზის მოხსნა ვუსურვოთ ჩვენს ძიუდოისტებს.

ძიუდო

თბილისის საერთაშორისო ტურნირზე

ამასწინათ თბილისში ჩატარდა აკაკი ოქროპირიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი 2003-2005 და 2006-2007 წლებში დაბადებულ ძიუდოისტებს შორის. ასპარეზობაში მონაწილე აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ ძიუდოისტების შედეგები ამ ასპარეზობაში ასეთია:

2003-2005 წლებში დაბადებულთა შორის: შოთა ბაჩოშვილი (34 კგ,I ადგილი),ლუკა დარისპანაშვილი (30 კგ. I ადგილი), მურაზ ხუდოიანი (55კგ,II ადგილი), დავით კევლიშვილი (42 კგ,II ადგილი), მირიან კურდღელაშვილი (60 კგ), თენგიზ ხებრელაშვილი (73კგ), თენგო მაისაშვილი (50 კგ), ნიკა ნოზაძე (81 კგ), სანდრო სონიშვილი (მძიმე წონ– ყველა მესამე ადგილი).

2006-2007 წლებში დაბადებულთა შორის:

შოთა ბაჩოშვილი (32კგ) და საბა ოდიკაძე (24 კგ) – ორივე II ადგილი, ვახტანგ ჭიაბერაშვილი (35კგ), დავით ჩიტაია (28 კგ) – III ადგილი. ტურნირებისათვის საგარეჯოელი ძიუდოისტები მოამზადეს მამუკა მათიაშვილმა, ნუკრი გაგნიაშვილმა, ბადრი ბასილაშვილმა და გოჩა მეკოკიშვილმა.

ჭადრაკი

მოჭადრაკეთა 2018 წლის შედეგები

5-15 თებერვალს თბილისში საქართველოს სასკოლო ჩემპიონატში 11 წლამდე ასაკის ვაჟებს შორის ზუკა გამრეკელაშვილმა 9 შესაძლებლობიდან მოაგროვა 6.5 ქულა და გაიყო II-IV ადგილი. შიო შიოშვილმა 5.5 ქულით დაიკავა V ადგილი (მწვრთნელი ირაკლი ქვლივიძე); მესამე ადგილი 7 წლამდე გოგონათა შორის დაიკავა ანი ბუზარიაშვილმა (მწვრთნელი ელენე ფარეშიშვილი).

21-27 თებერვალს ტიგრან პეტროსიანის მემორიალურ ტურნირზე თბილისში ნინო ესაიაშვილმა (მწვრთნელი ელენე ფარეშიშვილი) დაიკავა II ადგილი

12-16 ივნისს თბილისში შოთა ინწკირველის მემორიალში 7 წლამდელ ჭაბუკთა შორის I ადგილი დაიკავა და თასის მფლობელი გახდა ფართლი საბრი. ამავე ტურნირზე გოგონათა შორის 7 წლამდელთა შორის IV ადგილი დაიკავა მარიამ აგულაშვილმა, ხოლო მათმა მასწავლებელმა ირაკლი ქვლივიძემ მოიპოვა საუკეთესო მწვრთნელის წოდება და გადაეცა თასი და სიგელი.

31 მარტს ჩატარდა კახეთის ღია ჩემპიონატი სწრაფ ჭადრაკში. 15 წლამდე ვაჟებში 7-დან 7 ქულით I ადგილი დაიკავა ზუკა გამრეკელაშვილმა, II ადგილი – იოანე ინაშვილმა და ნინო ესაიაშვილმა. ზუკა დაჯილდოვდა თასით, მედლითა და სიგელით, ხოლო იოანე და ნინო – ჭადრაკით, მედლითა და სიგელით.

7-14 ნოემბერს თბილისში ალექსანდრე ჩიკვაიძის თასის გათამაშებაში 12 წლამდელ ვაჟებს შორის ზუკა გამრეკელაშვილმა გაიყო II-IV ადგილები 5 ქულით, ხოლო ნინო ესაიაშვილმა დაიკავა მესამე ადგილი.

საერთაშორისო საჭადრაკო მრავალეტაპიან გათამაშებაში, რომელიც საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრმა მოაწყო, ჯერ საგარეჯოში, შემდეგ კი თელავში, I ადგილი დაიკავა ნიკა კევლიშვილმა, ხოლო II ადგილი – ეთერ ხებრელაშვილმა (მწვრთნელი ირაკლი ქვლივიძე). ორივე მათგანი მონაწილეობდა ანაკლიაში გამართულ ფინალურ ეტაპში. ნიკა კევლიშვილმა ყველა მეტოქე დაამარცხა და მოიპოვა ჩემპიონის ტიტული. იგი დაჯილდოვდა თასით, მედლით, სიგელითა და ფასიანი საჩუქრით.

23 სექტემბრიდან 6 ოქტომბრის ჩათვლით ბათუმში ჩატარდა მსოფლიოს 43-ე საჭადრაკო ოლიმპიადა, რომლის პარალელურად ჩატარდა საქართველოს 12 რეგიონის გუნდური ჩემპიონატი 10, 12 და 14 წლამდელთა შორის სწრაფ ჭადრაკში. საგარეჯოელთაგან მასში მონაწილეობდნენ ნიკა კევლიშვილი, ზუკა გამრეკელაშვილი და ნინო ესაიაშვილი. თავის დაფაზე წარმატებით იასპარეზა ნიკა კევლიშვილმა. მან 9 ქულით 11 შესაძლებლობიდან დაიკავა III ადგილი. იგი დაჯილდოვდა ოლიმპიური სიმბოლური მედლით, სიგელითა და ჭადრაკის კომპლექტით.

აგვისტოს დასაწყისში ჩატარდა ტრადიციული საჭადრაკო ფესტივალი „რაჭა-2018“ , რომელშიც ნინო ესაიაშვილმა (მწვრთნელი ელენე ფარეშიშვილი) დაიკავა I ადგილი.

14-21 აგვისტოს ბათუმში ჩატარდა ტრადიციული საერთაშორისო ფესტივალი „შავი ზღვის დელფინი“, რომელშიც 8 წლამდე გოგონათა შორის III ადგილი დაიკავა 7 წლის მარიამ აგულაშვილმა.

23 ნოემბერს გურჯაანში ჩატარდა ნანა იოსელიანის სახელობის თასის გათამაშება 13 წლამდე ასაკში, რომელშიც 4 ჭაბუკი და ორი გოგონა მონაწილეობდა. გუნდმა სამი მატჩი დაამთავრა ფრედ – გურჯაანთან, თელავთან და ლაგოდეხთან, 5 კი მოიგო ანგარიშით 6:0 და დაიკავა III ადგილი. გუნდის შემადგენლობაში იყვნენ ლევან დალბაშვილი, ნინო ესაიაშვილი, ზუკა გამრეკელაშვილი, იოანე ინაშვილი, ფართლი საბრი და მარიამ აგულაშვილი. მოჭადრაკეები დაჯილდოვდნენ მედლებით, სიგელებითა და 100 ლარიანი ვაუჩერებით.

ფოთის XIII საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალზე 12-21 ივლისს ღია ტურნირში (ფიდეს რეიტინგი 1400 და ნაკლები) მონაწილეობდა 11 წლის ზუკა გამრეკელაშვილი), რომელმაც 9-დან 6,5 ქულით დაიკავა III ადგილი და დაჯილდოვდა ბრინჯაოს მედლითა და სიგელით, ასევე ფულადი პრიზით.

სპორტი

გიორგიწმინდელი მკლავჭიდელების რეკორდული შედეგი

თუ არა რეკორდული, სხვანაირად ვერ შეფასდება ის წარმატება, რასაც ამასწინათ საქართველოს მკლავჭიდის ეროვნული ფედერაციის მიერ გამართულ საქართველოს პირველობაში მოიპოვეს გიორგიწმინდის მკლავჭიდის გუნდის წევრებმა. ასპარეზობაში მათ მიერ მოპოვებულია სხვადასხვა სინჯის 14 მედალი, აქედან 8 ოქრო, 4 ვერცხლი და ორი – ბრინჯაო. ფაქტიურად შეჯიბრებაში მონაწილე გიორგიწმინდელი მკლავჭიდელებიდან თითქმის არავინ დარჩენილა ისე, რომ მკერდი რომელიმე სინჯის მედლით არ დაემშვენებინა.

– აღნიშნული საქართველოს ჩემპიონატი – ***გვეუბნება რედაქციაში სტუმრად მყოფი გუნდის მწვრთნელი*** **მამუკა ბილანიშვილი**, ამა წლის 20-21 და 23-24 მარტს ჩატარდა. თვის პირველ რიცხვებში – ახალგაზრდებში, 23-24 მარტს კი – უფროსი ასაკის მკლავჭიდელებში. სასიხარულოა აღინიშნოს, რომ ჩემმა აღსაზრდელებმა აღმავლობით იასპარეზეს ამ ტურნირში და ზოგიერთმა მათგანმა უმაღლესი ჯილდოები ორივე – მარჯვენა და მარცხენა ხელით გადაწევაში აიღო. ასეთები არიან ახალგაზრდულ ასაკში მოასპარეზეები: გიორგი დიღმელაშვილი (იგი 18 წლიანებში, 70 კგ წონით კატეგორიაში იღებდა მონაწილეობას) და ოქროს მედალი ორივე ხელით ასპარეზობაში მოიპოვა; ოთარ საგინაშვილმა (80კგ) ოქროს მედალი მარცხენა ხელით, ვერცხლის – მარჯვენათი აიღო. გიორგი კევლიშვილმა (50 კგ) კი პირიქით – ოქროს მედალი მარჯვენა ხელით, ვერცხლის – მარცხენათი მოიპოვა. გიორგი გიგაურმა (60 კგ) მარცხენა ხელის გადაწევაში ვერცხლის მედალი მოიპოვა.

15 წლამდელთა შეჯიბრებაში ორივე ხელით ოქროს მედლების მფლობელები გახდნენ ბაჩო საგინაშვილი (+70კგ) და ნიკა დიღმელაშვილი (65კგ); ანზორ დიღმელასვილმა (52კგ) ოქრო მარჯვენა ხელის გადაწევაში მოიპოვა.

ბრინჯაოს მედლით დაგვიბრუნდა საგარეჯოში 21 წლამდელთა შორის მოასპარეზე დავით კევლიშვილი, რომელიც 75 კგ წონით კატეგორიაში იღებდა მონაწილეობას. დიდების ასაკში კი ბრინჯაოს მედალი მეც ავიღე – 90 კგ წონით კატეგორიაში.

– თქვენმა მკლავჭიდელებმა წარმატებულად დახურეს გასული 2018 წელი. კერძოდ, რა შედეგებით დაამთავრეთ იგი?

– შარშან საქართველოს ჩემპიონატზე ჩემი გუნდის 6 ბავშვი მონაწილეობდა, რომელთაგანაც მოპოვებული იყო 4 მედალი, 1 ვერცხლისა და სამი ბრინჯაოსი. კერძოდ, წლევანდელმა ორივე ხელით საქართველოს ჩემპიონმა გიორგი დიღმელაშვილმა მაშინ მარჯვენა ხელით – ვერცხლის, მარცხენა ხელის გადაწევაში კი ბრინჯაოს მედალი მიიღო. მარჯვენაში ბრინჯაო ერგო წილად გიორგი კევლიშვილს და ასევე – ბრინჯაო მარჯვენა ხელში მე – მათ მწვრთნელს მამუკა ბილანიშვილს.

ამის შემდეგ შემოდგომით გვქონდა ასპარეზობის საშუალება ისევ საქართველოს ჩემპიონატზე, სადაც მოვიპოვეთ 10 მედალი. ჩემპიონი გახდა ბაჩო საგინაშვილი, ასევე მოვიპოვეთ ორი ვერცხლის და 7 ბრინჯაოს მედალი.

– როგორც თქვენი საუბრიდან ირკვევა, აღსაზრდელებთან ერთად თავადაც მონაწილეობთ ასპარეზობებში. პირადად თქვენ როდის დაეუფლეთ სპორტის ამ სახეობას, ვინ იყო თქვენი დამკვალიანებელი ამ საქმეში და რა ტიტულები გაქვთ?

– ეს მოხდა თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩემი სწავლის დროს, სადაც მწვრთნელმა გურამ გოგოლაშვილმა მირჩია ხელი მომეკიდა ამ სპორტისათვის და დამაწყებინა ვარჯიში. ვმონაწილეობდი სასწავლებლის შიდა ჩემპიონატებში, ვარ კახეთის ჩემპიონი და საქართველოს პირველობის პრიზიორი.

– გადმოცემით ვიცი, რომ გიორგიწმინდაში მკლავჭიდის განვითარებას ურთულეს პირობებში ჩაუყარეთ საფუძველი. ხომ ვერ გაიხსენებდით, როგორი იყო თქვენი პირველი ნაბიჯები?

– გიორგიწმინდის მკლავჭიდის გუნდს 2016 წელს ჩაეყარა საფუძველი. გიორგიწმინდის ჭიდაობის სკოლის აღმზრდელებმა, როცა შეიტყვეს ჩემი გადაწყვეტილება, მხარი დამიჭირეს და დარბაზში ვარჯიშის ნება დამრთეს. თავდაპირველად გუნდში რამდენიმე ბავშვი მოვიდა, რომელთა რიცხვი შემდეგში თანდათანობით გაიზარდა და სადღეისოდ სხვადასხვა ასაკის 20-ზე მეტ მოზარდს ვავარჯიშებ. დასაწყისისთვის არ გვქონდა არავითარი ინვენტარი. ვარჯიში ჩემი ხელით დამზადებულ მაგიდაზე გვიხდებოდა, მაგრამ, როგორც ხედავთ ჩემმა და ჩემი აღსაზრდელების მონდომებამ ამ პრიმიტიულ პირობებშიც სათანადო ნაყოფი გამოიღო და ქართულ სპორტში ერთი სიტყვა ჩვენც გვეთქმის.

– პრიმიტიულ პირობებში რა იგულისხმება?

– ის ინვენტარი, რაც სავარჯიშო ოთახში გვაქვს, ყველაფერი ჩემი ხელითაა დამზადებული და გაკეთებული და სხვა არავინ არაფერში დაგვხმარებია.

– როგორც შევიტყვეთ 2018 წლამდე თქვენს აღსაზრდელებს ე.წ. ნებაყოფლობით საწყისებზე – ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ამეცადინებთ?

– კი, ასეა. აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანებამ“ შტატში მხოლოდ 2018 წელს ამიყვანა და ხელფასი დამინიშნა.

– როგორც ცნობილია, მაისში, საბერძნეთში ჩატარდება მკალვჭიდში ევროპის ჩემპიონატი. იმედია იქ მოასპარეზე ქართველ მკლავჭიდელთა შორის თქვენს აღსაზრდელებსაც ვიხილავთ, არა?

– კი, როგორ არა! წესდებით საბერძნეთში, ევროპის ჩემპიონატზე პირველ-მეორე ადგილზე გასული, ანუ ოქროსა და ვერცხლის მფლობელი სპორტსმენები იასპარეზებენ, რომელთა სორისაც გიორგიწმინდის გუნდიდან 6 მკლავჭიდელი მიიღებს მონაწილეობას.

– როგორია თქვენი, როგორც მწვრთნელის პროგნოზები ამ ჩემპიონატთან დაკავშირებით. როგორ ფიქრობთ, გაამართლებენ თქვენი აღსაზრდელები მათზე დაკისრებულ ამ მაღალ ნდობას?

– იმედი მაქვს, რომ როგორც საქართველოს პირველობიდან, ისე ევროპის ჩემპიონატიდანაც ჩემი აღსაზრდელები უმაღლესი შედეგებითა და ოქროს მედლებით დაგვიბრუნდებიან, რისთვისაც ყველაფერს ვაკეთებთ და მომავალშიც გავაკეთებთ ჩვენს სავარჯიშო მაგიდასთან.

გივი დაბახიშვილი

ჩვენს მუნიციპალიტეტში

21 მარტს აღინიშნა დაუნის საერთაშორისო დღე

ამ დღეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებმა თანადგომა გამოუცხადეს ასეთ პირებს.

მუნიციპალიტეტში მცხოვრებ პირებს ტკბილეული, სასაჩუქრე კალათები გადასცეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სახელით ამავე მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის თანამშრომლებმა.

ინფრასტრუქტურა

მოასფალტდა გზა

საგარეჯოს თვალწმინდა გიორგის სახელობის ეკლესიამდე მისასვლელი გზის ერთი მონაკვეთის – 0.5 კმ-ის მოასფალტება ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი 304793 ლარით დაფინანსდა.

გალამაზდა, კეთილმოეწყო

სოფელ შიბლიანში დამთავრდა საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი 19800 ლარით იყო დაფინანსებული. შიბლიანელი პატარები გალამაზებულ ბაღში 18 მარტიდან შეუდგნენ სწავლას.

ქეთი ბრატიაშვილის ფოტოები

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 500
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.
ტელეფონები: 599 502 842 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com